ვინ სარგებლობს შეღავათით?*

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები	უფასოდ
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები	უფასოდ
უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია	უფასოდ
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები	50 ლარი (100 ლარის ნაცვლად)
იძულებით გადაადგილებული პირები	50 ლარი (100 ლარის ნაცვლად)
მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	50 ლარი (100 ლარის ნაცვლად)
18 წლამდე პირები	50 ლარი (100 ლარის ნაცვლად)
სტუდენტები , რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ და უკონტაქტო მიკროსქემაზე სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის შემცველობით	95 ლარი (100 ლარის ნაცვლად)

#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის** კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: “განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა”, EBRD, 2011

2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge
www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

პასპორტი

იუსტიციის სახლი

რა არის პასპორტი?

პასპორტი არის პიროვნების პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მოქმედებს როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველო თავის მოქალაქეებზე გასცემს ბიომეტრულ პასპორტს, რომელსაც, არაბიომეტრული პასპორტისგან განსხვავებით,დამატებული აქვს ელექტრონული მატარებელი. მასზე დატანილია პიროვნების პერსონალური მონაცემები, ელექტრონული ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდები.

რა უპირატესობები გააჩნია ბიომეტრულ პასპორტს?

- ბიომეტრული პასპორტი ყველაზე მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისაგან დაცული სამგზავრო დოკუმენტია;
- ბიომეტრული პასპორტების შემოღებამ სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან მნიშვნელოვნად გაამარტივა;
- ბიომეტრული პასპორტის მფლობელები სხვადასხვა ქვეყნის საზღვრებს გამარტივებულად კვეთენ;
- ბიომეტრული პასპორტების გაცემის სისტემაზე გადასვლით, საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ვისზე გაიცემა პასპორტი?

პასპორტი გაიცემა ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეზე მისი საქართველოდან გასვლის, საზღვარგარეთ გადაადგილებისა და საქართველოში შემოსვლის მიზნით.

როგორ ავიღო ბიომეტრული პასპორტი?

პასპორტის ასაღებად მიმართეთ იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

თქვენ შეიძლება იყოთ განმცხადებელი პასპორტზე, იმ შემთხვევაში თუ 14 წელს გადაცილებული პირი ბრძანდებით და ფლობთ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

არასრულწლოვანი პირის განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილია მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

რა დამატებითი დოკუმენტაცია წარმოვადგინო 18 წლამდე ასაკის პირის თვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასაღებად?

- დაბადების მოწმობა;
- 16 წლამდე პირებისთვის ორივე მშობლის თანხმობა, ხოლო 16-დან 18 წლამდე პირებზე - ერთი მშობლის თანხმობა პასპორტის აღების თაობაზე (თანხმობის ფორმა ივსება იუსტიციის სახლში ან სანოტარო ბიუროში).

როდის არის სავალდებულო პასპორტის გამოცვლა?

- მოქმედების ვადის გასვლისას;
- სახელის ან გვარის გამოცვლისას;
- ჩანაწერებში უზუსტობების დადგენისას;
- ვიზებისა და მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;
- პასპორტის გაცვეთის ან დაზიანების შემთხვევაში.

რა ვადით გაიცემა პასპორტი?

- 18 წელს მიღწეულ პირებზე - 10 წლის ვადით;
- 18 წლამდე პირებზე - 3 წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიომეტრული პასპორტის მიღების ვადა და საფასური:

ვადა	ტარიფი
მე-10 სამუშაო დღეს	100 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	120 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	150 ლარი
24 საათში	190 ლარი
იმავე დღეს	205 ლარი